

ერეკლე მეფის სამართალი

მე-18 საუკუნის მიწურულია. გაზაფხულის პირველი თვეა და ურჩი სიო სითბოსა და სიგრილეს ერთმანეთს უხამებს. სახლში დილიდან რაღაცის მოლოდინით ბორგავს ზაალ ანდრონიკაშვილი. თითქოს რაღაცას ელოდება, რას თავადაც არ იცის. ცხოვრება არც თუ ისეთი უზრუნველი იყო მისთვის, პატარა იყო როცა დაობლდა მისი გვარის მთელი ქონება კი სხვა გვარს გადასცეს. ეს იმის გამო მოხდა, რომ თავად ზაალ ანდრონიკაშვილი პატარა იყო და იმ ყველაფრის მოვლა პატრონობა არ შეეძლო რაც მისმა წინაპრებმა ოფლითა და სისხლით მოუტანეს. რათქმაუნდა დამნაშავე ამაში ზაალი არ იყო, მაგრამ მაინც მთელი ცხოვრება საკუთარ თავს ადანაშაულებდა და ოცნებობდა დაებრუნებინა ის რაც ეკუთვნოდა. ზაალი მამაცი მეომარი იყო და ქვეყნის სამსახურში დგომა მისთვის პრობლემას არასდროს წარმოადგენდა. იბრძოდა ასპინძის ომში, მძიმედ დაიჭრა აბდულაბეგის შემოსევის დროს. დაღესტნელებთან ომში ზურგში დაიჭრა და მძიმე ფიზიკური ნაკლი კუზი დაუტოვა რამაც ისედაც რთული ცხოვრება უფრო გაურთულა. ახლა ობოლი ზაალი, „კუზიანი ზაალი“ გახდა ეს კიდე უფრო მეტად უკლავდა გულს ზაალს თუმცა არასდროს უნანია ომში წასვლა და ქვეყნისთვის ბრძოლა მეტიც ეს ეამაყებოდა. იმ დროს, როცა მისი გმირობების კვალს ხელზე ათვალიერებდა სასახლიდან შიკრიკი მოვიდა და მას ლამაზად შეხვეული პერგამენტი გადასცა. ერეკლე მეფის ბეჭედი ამშვენებდა პერგამენტს სწორე ეს იყო ის რასაც ზაალი მთელი დღე ელოდა. თუმცა როგორცმედვე აღმოჩნა ამ პერგამენტს იგი წლებია ელის. პერგამენტი სიგელი იყო. ერეკლე მეფე მის კუთვნილ მიწებსა და ქონებას უბრუნებდა საკუთრებაში. თანაც მისი გმირობების გამო ვაჟკაცს უწოდებდა, ერთიანად იწვოდა სიხარულისა და დარცხვენისგანთავადი ანდრონიკაშვილი.

ერეკლე მეორე ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მეფე. ამ ტიტულის მოპოვება მხოლოდ ბრძოლების მოგებით შეუძლებელია. იგი იყო ერთდროულად სამართლიანი თავმდაბალი და მზრუნველი ადამიანი. ისე ზრუნავდა მის მოქალაქეებზე როგორც შვილებზე. ეს კარგად არის გამოხატული ზაალ ანდრონიკაშვილისთვისგაგზავნილ წერილში. თავად მრავალჯერ დაჭრილი და მრავალ ომგამოვლილი მეფე სხვის გმირობას აფასებს და სამართლიანად უბრუნებს იმას, რაც ეკუთვნის. ამასთან იგი რამდენჯერმე იმეორებს, რომ ამის დამამტიკებელი საბუთი აქვს. იგი კეთილ განწყობის გამო არ აკეთებს ამას არამედ სამართლიანობის გამო. რაც ჩემი აზრით

მეფის ერთ-ერთი ღირსებაა. არასწორია
შენი შეხედულებისამებრ დაარიგო მიწები. წაართვა ვისაც ეკუთვნის და
მისცე მას ვინც მოგწონს. სამართლიანობა ქვეყანაში სტაბილურობის
შენარჩუნების მნიშვნელოვანი საფუძველია. როგორც ციცერონი ამბობდა:
სამართლიანობა სიბრძნის გარეშე ბევრ რამეს ნიშნავს სიბრძნე
სამართლიანობის გარეშე კი არაფერს. ეს საბუთეი რომ არა ერეკლე სხვას
მიწას ვერ წაართემვდა თუმცა ჩემი აზრით ობოლ გმირს მაინც
დააჯილდოვებდა სხვა მიწებით. ამის საჭირობა კი იმიტომ არ გახდა ,
რომ ზაალს ჰქონდა საბუთეები რომლითაც მტკიცდებოდა რომ ეს მიწები
მას ნამდვილად ეკუთვნოდა.

ჩემი აზრით მოცემული დოკუმენტი ხაზს უსვამს ერეკლე მეფის მრავალ
თვისებას მათ შორის ყველაზე მკაფიოდ , კი სამართლიანობას
, მზრუნველობასა და სიკეთეს. იგი ობოლ ზაალს უბრუნებს მის
კუთვნილ ქონებას და უფასებს სამშობლოს სამსახურს. იმის მიუხედავად ,
რომ ამან შეიძლება მარტყოფში პრობლემები შეუქმნას
ჩერქეზიშვილებთან იგი იმას აკეთებს რაც სწორია, სწორედ ამიტომ არის
მისი სახელი ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით ამოქარგული და
დაბადებიდან 300 წლის შემდეგაც კი გვაოცებს მისი საოცარი ხასიათითა
და ვაჟაცობით. სწორედ მსგავსი გმირი მეფეების წყალობით მოვედი
დღემდე ასეთი რთული ისტორიის მიუხედავად.

ესე არის დაწერილ იერეკლე მეფის მიერ ზაალ ანდრონიკშვილისთვის გაგზავნილი
სიგელის მიხედვით
ავტორი -ანა ფრუიძე
სკოლა-63 საჯარო
ქალაქი- თბილისი
კლასი-9გ
ასაკი-15 წლის